DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

## სარჩევი


| | |
|---|---|
| დაგეგმილი ღონისძიებები | 2 |
| ჩატარებული ღონისძიებები | 7 |
| DWV-ს ახალი წევრები | 10 |
| წევრთა სიახლეები | 11 |
| წევრთა შეთავაზებები | 12 |

## თქვენი საიმედო პარტნიორი

**თვალყური ადევნეთ ჩვენს სოციალურ ქსელს და შემოგვიერთდით ფეისბუქსა და ლინკდინზე!**

### ოფიციალური წარმომადგენლობა

Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

Messe Frankfurt und Fruit Logistica
ვატო კასრაძე
vato.kasradze@dwv.ge

### თანამშრომლობა

### კონტაქტი


გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge


Das Beste aus der Natur.
Das Beste für die Natur.

## დაგეგმილი ღონისძიებები

### DWV-ტრენინგი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და დებატებისა და განათლების ინსტიტუტი (GIDE) გიწვევთ ერთობლივ ტრენინგზე: **„თანამედროვე სამყაროს გამოწვევები“.**

სწრაფად ცვალებად გარემოში ნებისმიერი პროფესიის ადამიანს სჭირდება ისეთი განვითარება, რაც მას ამ გარემოში სწრაფი და ეფექტიანი ადაპტაციის საშუალებას მისცემს.

**სასწავლო სემინარის მიზანია**, მსმენელებს თვალსაჩინოდ დაანახოს სიტყვით გამოსვლის, არგუმენტირებული მსჯელობისა და ეფექტიანი კომუნიკაციის საჭიროება; აღჭურვოს ისინი შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით, რასაც ისინი წარმატებულად გამოიყენებენ როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

**სამიზნე აუდიტორია**: ნებისმიერი დაინტერესებული პირი.

**სწავლების მეთოდოლოგია:** შეხვედრებს ექნება პრაქტიკული ხასიათი. თეორიულ მასალასთან ერთად, განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, კონკრეტული ქეისები და თვითპრეზენტაციები, რომლებშიც მონაწილეები აქტიურად ჩაერთვებიან.

**ტრენერი: თინათინ ცერცვაძე** – ფსიქოლოგი, საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ტრენერი.

**სამუშაო ენა:** ქართული.
**თარიღი და დრო:** 11-12 ოქტომბერი, 2023; 11:00-17:00 სთ.
**ადგილი**: სასტუმრო შერატონ გრანდ მეტეხი პალასი, 0103 თბილისი.
**ტრენინგის საფასური:** DWV-ს წევრებისთვის 400 ლარი, სხვა შემთხვევაში – 450 ლარი.

გთხოვთ, 9 ოქტომბრის ჩათვლით გაიაროთ რეგისტაცია სარეგისტრაციო ბმულზე.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.


Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

## DWV-ტრენინგი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და BDO Academy გიწვევთ ერთობლივ ორ დღიან ტრენინგზე: **„სახელმწიფო შესყიდვები“.**

სახელმწიფო შესყიდვა, იგივე საჯარო შესყიდვა, არის პროცესი, რომელიც გულისხმობს საჯარო დაწესებულებების მიერ საქონლის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას სპეციალური პროცედურების გამოყენებით.

**სასწავლო სემინარის მიზნები:** კურსის მიზანია, ტრენინგის მონაწილეებმა შეისწავლონ სახელმწიფო შესყიდვების პრინციპები, ტენდერების სახეები, პროცედურები, დავების განხილვის სპეციფიკა და გაიღრმავონ ცოდნა სახელმწიფო შესყიდვებში.

**სწავლების მეთოდოლოგია:** თეორიულ მასალასთან ერთად, განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომლებშიც მონაწილეები აქტიურად ჩაერთვებიან.

**სამიზნე აუდიტორია:** გაყიდვების სპეციალისტები და იურისტები, ვისაც სურთ შეიძინონ დამატებითი ცოდნა და გაიუმჯობესონ უნარები; ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლები, ვისაც სურთ სახელწიფო შესყიდვების სფეროში ჩართვა და მონაწილეობა.

**ტრენერი**: გელა ივანიძე, BDO Legal-ის უფროსი იურისტი, შპს ბიდიო ლეგალში მუშაობის 9 წლიანი გამოცდილებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო სამართლის მაგისტრი.

**სამუშაო ენა:** ქართული.
**თარიღი და დრო**: 17-18 ოქტომბერი, 10:00-15:00.
**მისამართი**: სასტუმრო პულმან თბილისი აქსის თაუერსი, 37მ ჭავჭავაძის გამზ.
**ღირებულება**: DWV-ს წევრებისთვის 300ლ, სხვა შემთხვევაში - 350ლ.

გთხოვთ, რეგისტრაცია გაიაროთ 13 ოქტომბრის ჩათვლით სარეგისტრაციო ბმულზე.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.


Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

GOLDEN TULIP
DESIGN TBILISI

**DWV-Get Together**

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გიწვევთ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მორიგ “Get Together” ღონისძიებაზე:

ოთხშაბათს, **18 ოქტომბერს, 18:00 საათიდან სასტუმროში “*Golden Tulip Design Tbilisi*”.**

მისამართი: 37 ქეთევან წამებულის გამზირი, 0103 თბილისი.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!

თქვენი DWV.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

## DWV-ტრენინგი

2023 წლის 7 ნოემბერს გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და საკონსულტაციო კომპანია "ჯეპრა" გიწვევთ ერთობლივ ტრენინგზე: "**რისკების კომუნიკაცია".**

თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში, ინფორმაციის წყაროების რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის ფონზე, იზრდება საკომუნიკაციო რისკები ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისა თუ კომპანიისთვის. საკომუნიკაციო კრიზისის წარმოშობა შეიძლება მრავალი ფაქტორით იყოს განპირობებული და საბოლოოდ საინფორმაციო სივრცეში შექმნილმა პრობლემამ არა მხოლოდ რეპუტაციული, არამედ უფრო მასშტაბური პრობლემები შეუქმნას კომპანიას როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამიტომ საჭიროა რისკების კომუნიკაციის და კრიზისების პრევენციის მექანიზმების შექმნა და გამოყენება ბიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის.

**ტრენინგის მიზანია** საკომუნიკაციო რისკების იდენტიფიკაციისა და მართვის ტექნოლოგიების სწავლება, კომპანიების რეპუტაციული და ოპერაციული ზიანის თავიდან აცილების მექანიზმის შემუშავებისთვის.

**სამიზნე აუდიტორია:** კომპანიების ტოპმენეჯერები და კომუნიკაციის სპეციალისტები.

**ტრენინგს გაუძღვება: კახა მაღრაძე,** "ჯეპრას" პარტნიორი და უფროსი კონსულტანტი.

**სამუშაო ენა**: ქართული.
**თარიღი და დრო:** 7 ნოემბერი, 2023; 14:00-18:00 სთ.
**ადგილი**: სასტუმრო პულმან თბილისი აქსის თაუერსი, 37მ ჭავჭავაძის გამზ.
**ტრენინგის საფასური:** გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) წევრებისთვის 200 ლარი, სხვა შემთხვევაში - 250 ლარი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ გაიცემა **სერტიფიკატები**.
გთხოვთ, 2023 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.


Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

## დაგეგმილი ღონისძიებები

### DWV-ტრენინგი




გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და სურსათის უვნებლობის ექსპერტი, ეკატერინე ბურკაძე, გიწვევთ ერთობლივ ტრენინგზე: **„სურსათის უვნებლობა - ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები".**

კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება აუცილებელი პირობაა სურსათის უვნებლობისა და მომხმარებლის დაცულობის უზრუნველსაყოფად. ტრენინგის ფარგლებში, განხილული იქნება კარგი წარმოებისა და ჰიგიენის პრაქტიკა (GMP&GHP), სურსათის უვნებლობის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, ტემპერატურული რეჟიმები, პერსონალის პირადი ჰიგიენა და ქცევის წესები, სურსათის საფრთხეები და საფთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა HACCP, საერთაშორისო სტანდარტები.

**მიზნობრივი აუდიტორია:** სურსათის მწარმოებლები, კვების ობიექტები, რესტორნები, სავაჭრო ქსელები და სხვა დაინტერესებული პირები.

ტრენინგს გაუძღვება მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სურსათის უვნებლობის ექსპერტი, **ქ-ნი ეკატერინე ბურკაძე,** რომელიც თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან, სურსათის საწარმოების შეფასების, სურსათის უვნებლობის და ხარისხის მართვის სისტემების შემუშავების და დანერგვის, პერსონალის შესაბამისი გადამზადების საკითხებში.

**თარიღი და დრო:** 17.11.2023; 13:00-19:00 სთ.
**ადგილი**: სასტუმრო Golden Tulip Design Tbilisi, 37 ქეთევან წამებულის გამზირი.
**ტრენინგის საფასური**: DWV-ს წევრებისთვის - 230 ლარი, სხვა შემთხვევაში - 280 ლარი.
ტრენინგი ჩატარდება **ქართულ ენაზე.**

მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, 14 ნოემბრის შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.


Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

## ჩატარებული ღონისძიებები

### DWV-Get Together

ჩვენი ტრადიციული ღონისძიება "Get Together" 20 სექტემბერს სასტუმრო "**თბილისი მარიოტში**" გავმართეთ.

მოუთმენლად გელით ჩვენს მომდევნო შეხვედრაზე!

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

## DWV-ბიზნეს დელეგაცია

ა. წ. 26-28 სექტემბერს, LEG Thüringen-ის ინიცირებით, გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ (DWV), Commit Project Partners GmbH-თან ერთად, უმასპინძლა ბიზნეს დელეგაციას გერმანიიდან, კერძოდ ტურინგიიდან. დელეგაცია საქართველოში ბიზნესის წარმოების მიზნით იმყოფებოდა. გერმანიის ეკონომიკის აღმოსავლეთ კომიტეტთან თანამშრომლობიდან გამომდინარე, დელეგაცია არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტურინგიის მონაწილეებით, არამედ მასში წარმოდგენილი იყო კომპანიები მთელი გერმანიიდან.

ეკონომიკური ბრიფინგის ფარგლებში, დელეგაციის მონაწილეებმა მიიღეს დამატებითი ინფორმაციები საქართველოში საინვესტიციო პროექტებზე და საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ქ-ნი ბირგიტ ჰოდლერიედ-კრესისგან, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის (KfW) ხელმძღვანელისგან, და ქ-ნი სარა ცილონკასგან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკური და პრესის დეპარტამენტის ხელმძღვანელისგან.

დელეგაციის ფარგლებში, გაიმართა არა ერთი ღონისძიება და შეხვედრა როგორც ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე სამთავრობო ინსტიტუტებთან. დელეგატებს საშუალება მიეცათ, სტუმრად წვეოდნენ სხვადასხვა კომპანიას. თბილისში, დელეგაციამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და იუსტიციის სახლი მოინახულა.

დელეგაციის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო შეხვედრები ქართულ კომპანიებთან B2B ფორმატში. აღნიშნულ შეხვედრებზე გერმანულ და ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ, უშუალოდ განეხილათ ერთმანეთთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

## DWV-ტრენინგი

26-29 სექტემბერს ჩატარდა DWV-სა და BPN Georgia-ს ერთობლივი ოთხდღიანი ტრენინგი თემაზე: **"HR - თანამშრომელთა მართვა და მოტივირება".**

**მიზნები:** თანამშრომლების როლისა და მათი სწორად მართვის მნიშვნელობის, ასევე, საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის გაცნობიერება თანამშრომლებისა და კომპანიის წინაშე; თანამშრომლების პოტენციალის ამოცნობა და ხელშეწყობა.

**სამიზნე აუდიტორია:** მცირე და საშუალო კომპანიების მმართველები და მფლობელები, კადრების განყოფილების მმართველები და კადრებზე პასუხისმგებელი პირები, სხვა დაინტერესებული პირები.

**შინაარსი:** სემინარის დასაწყისში მონაწილეებმა შეავსეს ონლაინ კითხვარი, რომლის დახმარებითაც შეადგინეს საკუთარი პიროვნული პროფილი და, ასევე, ისწავლეს, თუ როგორ გადაანაწილონ დავალებები გუნდში ოპტიმალურად პიროვნების სხვადასხვა ტიპის გათვალისწინებით.

სემინარის განმავლობაში ჩვენ ვიმსჯელეთ ეფექტიანი მართვის ფორმის წინაპირობებზე; შევეხეთ თანამშრომელთა მოტივირების ძირითად ასპექტებს; განვიხილეთ თანამშრომლების მოტივირების გზები წამყვანი ევროპული კომპანიების მაგალითზე. განვიხილეთ, ასევე, თანამშრომლების შერჩევის მეთოდები და შემდგომში მათი შეფასებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული პრაქტიკული ინსტრუმენტები.


Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

## BOLD and EPIC Craft LLC

BOLD & EPIC - ახალი სამუშაო ქსელი  სამუშაო სამყაროს სტატუს კვოს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. კომპანიის ხედვაა, თანამედროვე გზით ხელახლა განსაზღვროს სამუშაო სამყარო - ინოვაციური ბიზნესისა და თანამშრომლობის მოდელებით.

BOLD & EPIC Craft ქართველი IT სპეციალისტებს ასაქმებს და მათ გერმანულ პროექტებში რთავს.

“ჩვენ გვჯერა ჩვენი კოლეგების და იმის, რომ მხოლოდ ბედნიერი ადამიანები ასრულებენ საქმეს კარგად. როდის და სად, ამას არ აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა. ჩვენ გვინდა შევქმნათ ადგილი, სადაც ყველას სიამოვნებს კრეატიულობა”.

**კონტაქტი:**

Hospitalstraße 35
70174 Stuttgart
+49 711 217 228 10
be@boldandepic.com

## Tbilisi Philharmonic Hotel by Mercure

Tbilisi Philharmonic Hotel by Mercure, განსაცვიფრებელი ახალი ნაგებობა ქალაქის ცენტრში, არის ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც Accor Hotels-ის საერთაშორისოდ ცნობილი სასტუმრო Mercure ბრენდის ნაწილია.

სასტუმრო თბილისის ენერგიული კულტურული ცენტრის გულში, ვერის რაიონში მდებარეობს. ის რუსთაველის გამზირთან სულ ახლოსაა და გთავაზობთ მარტივ წვდომას ქალაქის ყველაზე მომხიბვლელ ტურისტულ ატრაქციონებზე. სასტუმრო გარშემორტყმულია კაფეებითა და რესტორნებით, მაღაზიებითა და სხვა გასართობი საშუალებებით, რაც მას იდეალურ არჩევნად აქცევს სტუმრებისთვის, რომლებსაც სურთ, განიცადონ ყველაფერი საუკეთესო, რასაც მათ თბილისი სთავაზობს.

**კონტაქტი:**

10 პეტრე მელიქიშვილის გამზ.
0179 თბილისი, საქართველო
+995 322 447777
h2073@accor.com
https://mercurehotelstbilisi.com/

## წევრთა სიახლეები

**GEC Consulting 13 წლის იუბილეს ზეიმობს**

GEC Consulting 13 წლის იუბილეს აღნიშნავს. "ეს იყო წარმოუდგენელი მოგზაურობა და დღეს ჩვენ აღვნიშნავთ არა მხოლოდ კიდევ ერთ წელს, არამედ ზრდით, მიღწევებითა და ღირებული პარტნიორობით სავსე წელს".
ვულოცავთ კომპანიას იუბილეს და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს!

**საქართველოს ბანკმა Citi-სგან $50 მლნ მოცულობის ფინანსური რესურსი მოიზიდა**

საქართველოს ბანკმა Citi-სგან $50 მილიონის ფინანსური რესურსი მოიზიდა. ამ რესურსით კორპორაციული, მცირე და საშუალო ბიზნესის ვაჭრობის სფეროში ოპერაციები დაფინანსდება. ტრანზაქცია საქართველოს ბანკსა და Citi-ს შორის 2011 წელს გაფორმებული შეთანხმების (CARTA) ფარგლებში შედგა.

**მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ახალი შესაძლებლობების შესაქმნელად, საქართველოს ბანკსა და EBRD-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა**

საქართველოს ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარების ხელშეწყობა. პირველ ეტაპზე შეიქმნება ონლაინ ბიზნეს კურსები, რომლებიც შესაბამის ვებ-გვერდზე იქნება ხელმისაწვდომი.

**TBC ბანკმა EBRD-სგან WiB პროგრამის ფარგლებში $20 მილიონი მოიზიდა**

TBC ბანკმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) $20 მილიონის ოდენობის სასესხო ხელშეკრულება გააფორმა. სესხი EBRD-ის „ქალები ბიზნესში" (WiB) პროგრამის ნაწილია და მხარდაჭერილია ევროკავშირისა და შვედეთის მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში, მეწარმე ქალებს შეეძლებათ ისარგებლონ, ასევე, საკონსულტაციო მომსახურებითა და ტრენინგებით.

**ProCredit Holding AG: კონვერტაცია სააქციო საზოგადოებად წარმატებით დასრულდა**

პროკრედიტ ჯგუფის მშობელმა კომპანიამ წარმატებით დაასრულა იურიდიული ფორმის ტრანსფორმაცია საფონდო კორპორაციად (AG). გარდაქმნა მიზნად ისახავს მეტი ინვესტორის მოზიდვას, განსაკუთრებით, საერთაშორისო ბაზრის მონაწილეებს შორის, და, ამავდროულად, კორპორატიული სტრუქტურის გამარტივებას. პროკრედიტ ჰოლდინგის ბიზნეს ფოკუსირება და, კერძოდ, მისი აქცენტი სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპასა და ზემოქმედების ორიენტაციისადმი ერთგულებაზე, უცვლელი დარჩება.


Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

# საკვირაო ბრანჩი

## იტალიური შტრიხებით

ცოცხალი მუსიკა, ბავშვების ანიმატორი და
იტალიური კერძების ფართო არჩევანი

ყოველ კვირას
13:00 საათიდან 23:00 საათამდე

ბავშვები - 5 წლამდე უფასო | 6-12 წლის - 50% ფასდაკლება

ფასები მოცემულია დღგ-ს გარეშე

The Biltmore Tbilisi Hotel - Sonnet Bar and Restaurant | +995 322 72 7 27 2 / Info.bhtg@biltmorecollection.com



Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge